საქართველო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 66 “ 20 “ 06 “ 2013 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

გიგზავნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსი N786-ში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

გთხოვთ განათავსოთ აღნიშნული კონკურსის შედეგების ველში.

პატივისცემით

საკრებულოს თავმჯდომარე: ზ.ალიბეგაშვილი

საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დ.სტეფანწმინდა,4700, ალ.ყაზბეგის ქ№1, ტელ. 790 57 01 12; 790 57 01 17; ს/კ 241499473; www. kazbegi.org.ge.

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N57

დაბა სტეფანწმინდა 18 ივნისი 2013წელი

<u>ერთის მხრივ,</u> ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ალიბეგაშვილის სახით და

<u>მეორეს მხრივ, შ.პ.ს"აღორძინება"</u> (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი ვლადიმერ კვირჭიშვილის სახით,(მინდობილობა N 130497255,რეგისტრაციის თარიღი 21.05.2013 წელი,დამოწმებული ნოტარიუსი ნინო სალაძის მიერ) სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, N 786 კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი -შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" N786 კონკურსის საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფ. არშაში მდ.თერგზე 150 გრძ/მ სიგრძის ორსამაგრი სამუშაოების, (გაბიონების მოწყობა), სოფ. გორისციხეში დაახლოებით 1500 მ/მ.სიგრძის და სოფ.ყანობში 1200 გრძ/მ. სიგრძის წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის და სოფ.ცდოში მაგისტრალური წყალსადენის (დამატებითი) მშენებლობის და სოფლის შიდა ქსელების რეაბილიტაციის, ,სოფ. სნოში 3030 გრძ/მ.სიგრძის სანიაღვრე მილსადენის მშენებლობის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის მომზადება .

CPV კოდი 71300000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 12900 (თორმეტი ათას ცხრაასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს ,მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს მომსახურების სრულად გაწევისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს თითოეულ პროექტსა და ხარჯთაღრიცხვაზე.)

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესაბამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას,რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია ყველა პროექტზე ცალცალკე და ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლიარად. ამასთან კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს SHP ფაილში ან „ავტოკადში“.

5.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შემსრულებელი შალვა ელოშვილი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

. მომსახურების გაწევის ვადა

ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ 20 დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი

დ) იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება / და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების ულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ორმხრივ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 15 ივლისამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს."აღორძინება"
მისამართი: დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგისქ.#1	მისამართი: ყაზბეგი, სოფ.ვარდისუბანი
ტელ.595 90 25 43	ტელ.599784600
ს/კ 241499473	ს/კ.441483529
მომს. ბანკი: ს.ს. ლიბერთის ბანკის	მომს. ბანკი:ს.ს."პროკრედიტბანკი "
ყაზბეგის ფილიალი- კოდი:LBRTGE22	ბანკის კოდი:MIBGGE22
ა/ა GE78LB0 120181120754000	ა/ა GE97PC0113600100030135
ხელმოწერა	ხელმოწერა
ბ.ა	ბ.ა

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. არშაში მდ.თერგზე 200 გრძ/მ სიგრძის ნაპირსამაგრი სამუშაოების (გაბიონების მოწყობა), სოფ.გორისციხეში დაახლოებით1500 გრძ/მ.სიგრძის და სოფ.ყანობში 1200 გრძ/მ.სიგრძის წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის და სოფ.ცდოში მაგისტრალური წყალსადენის (დამატებითი) მშენებლობის და სოფლის შიდა ქსელების რეაბილიტაციის ,სოფ.სნოში 3030 გრძ/მ.სიგრძის სანიაღვრე მილსადენის მშენებლობის საპროექტო და შემდგომში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. ხარჯთაღრიცხვა;
3. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.
4. ორთოფოტო;
5. სიტუაციური გეგმა;
6. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.(სამუშაოს ეტაპებისა და ვადის მითითებით)
7. განივი და გრძივი ჭრილები.
8. ტოპოგრაფია

ზემო აღნიშნული პროექტების სამუშაოების სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს;

- სოფ. არშაში მდ.თერგზე 200 გრძ/მ სიგრძის ნაპირსამაგრი სამუშაოების -150 000 ლარს;

-სოფ.გორისციხეში დაახლოებით1500 გრძ/მ.სიგრძის წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობის -90000 ლარს;

-სოფ.ყანობში 1200 გრძ/მ.სიგრძის წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის-45000 ლარი;

ექსპერტიზის დასკვნა